# გარდამოცემანი და სასწაულნი საკვირველი პარაკლისი

# ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ეკონომისა“

## ევედრებიან

გვალვისა და შიმშილობისაგან დაცვას და კარგ მოსავალს
ფინანსურ საქმეებთან დაკავშირებით შეწევნასა და
მატერიალური სიძნელეების დაძლევას

თბილისი
2017

**დასაბეჭდად ნებადართულია**
**საქართველოს საპატრიარქოს ლიტურგიკული**
**კომისიის მიერ**
**თავჯდომარე მიტროპოლიტი**
**იობი (აქიაშვილი)**

პარაკლისი (ბერძ. "თხოვნა", ,,გულმოდგინე ვედრება", ,,ნუგეში") არის სავედრებელი ლოცვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი ან წმინდანებისადმი, აღესრულება საზოგადო ან კერძო საჭიროებისამებრ მღვდლის მიერ მრევლისათვის, თუმცა ერისკაცსაც აქვს უფლება წაიკითხოს პარაკლისი, თავისი სახარებით, გარდა მღვდლის ჩასართავებისა - მადლობის ნიშნად ღმრთისადმი ან ამა თუ იმ წმინდანისადმი. ღმრთისმშობლის პარაკლისის მიხედვით შეიქმნა ჯვრის, მოციქულთა, მოწამეთა და სხვა პარაკლისები. იგი შეიძლება შესრულდეს დაუჯდომელთან და მცირე აიაზმასთან (წყალკურთხევასთან) ერთად.

პარაკლისი თავისი აგებულებით (სალმრთისმსახურო მიმდევრობით) არის შემოკლებული და ცოტათი შეცვლილი ცისკარი (ცისკრის ლოცვა). პარაკლისზე იკითხება 142-ე ფსალმუნი: ,,უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა...", შემდეგ ,,ღმერთი უფალი" და ტროპარები, რასაც მოსდევს 50-ე ფსალმუნი და კანონი (I-IX გალობა - ძლისპირები თავიანთი ტროპარებით,), რომელშიც ჩართულია - სახარება, კვერექსები და განტევება. არსებობს სამადლობელი პარაკლისი, როდესაც ღმერთს მადლობას სწირავენ განსაკუთრებული შეწევნისათვის. ზოგჯერ პარაკლისს იხდიან იმისთვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს უფლის რისხვა: სავედრებელ პარაკლისებს იხდიან ავადმყოფობების, უწვიმობის, მიწისძვრის, ომის, ეპიდემიის, ხანძრის დროს და სხვა განსაცდელისას.

ტექსტში ძვ. ქართული ასოები ასე იკითხება: უმარცვლო **უ** (ისეთ სიტყვებში, როგორიცაა ჩუენი, სიყუარული და სხვა.) **—** როგორც **,,ვ";** **ჲ**-ს ცალკე მარცვალი არ გააჩნია და გამოითქმის როგორც მოკლე **,,ი"; ჳ** მარცვლიანია და გამოითქმის, როგორც **,,ვი"; ჱ — ,,ეი"; ჴ** როგორც **— ,,ხ"** და **ჵ — ,,ჰოჲ".**

შეადგინა და გამოსცა: **თინათინ მჭედლიშვილმა**

ყდის დიზაინი: **ლელა ბოჭორიშვილი**

რედაქტორი: **ნონა ნამგალაძე**

გამოიცა **იღუმენ კონსტანტინეს (ნაროუშვილი)**
ფინანსური შეწევნით

# გარდამოცემანი
## ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატისა „ეკონომისად“ წოდებულისა
### ხს. 5 (18) ივლისი

ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი „იკონომოსა" ანუ „მაშენებელი“ დაბრძანებულია ათონის მთაზე წმინდა ათანასეს ლავრაში, რომელიც უძველესი და ყველაზე დიდი სავანეა და ცნობილია დიდი ლავრის სახელით. იგი ათონის მთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და წმინდა მთის მონასტრების იერარქიის სათავეში დგას. მისი დამფუძნებელი, წმინდა ათანასე ათონელი, ერთ-ერთი ყველაზე პატივდებული და სათაყვანო ბერია ათონის მთაზე. მან შემოიტანა განმარტოებულ-დაყუდებულ მონაზვნობაში საერთო ცხოვრების სისტემა, კინოვიები, რაც შემდგომში სამონაზვნო ცხოვრების ძირითად წესად იქცა.

წმინდა ეკლესია ათანასე ათონელს 18 ივლისს იხსენებს, თუმცა ათონზე, დიდ ლავრაში, ხარება დღეს იქნა დაწესებული წმინდა ათანასეს ხსენება და ამ დღესასწაულს განსაკუთრებულად ზეიმობენ. მას უფრო მეტ პატივს მიაგებენ, ვიდრე ღვთისმშობლის დღესასწაულს. ასე თვით დედაღვთისამ ინება. მან თავისი სურვილი ლავრის ერთ ძველ იღუმენს გაუმჟღავნა: ამიერიდან ამ დღეს (ხარებას) ჩემთვის ნუ იდღესასწაულებთ, რადგან ქრისტიანები ისედაც ყველგან განადიდებენ ჩემს სახელს; არამედ იზეიმეთ ჩემი მოყვასის ათანასეს ხსენება, რომელიც დიდად მემსახურა და ამ მონასტრისთვის ბევრსაც გაისარჯაო.

ღირსი მამა დაახლოებით 920 წელს დაიბადა ქალაქ ტრაპეზუნ-ში. მამამისი წარმოშობით დიდი ანტიოქიიდან ყოფილა, დედით კი ლაზი (კოლხი) გახლდათ. მამა მის დაბადებამდე გარდაცვლილა.

დედაც, თავისი პატარა მოუნათლავს თუ არა, სამარადისო სამყოფელში გადასახლებულა. აბრაამის (ასე უწოდეს ნათლობისას წმინდა ათანასეს) აღზრდა თავს უდვია ერთ კეთილშობილ მდიდარ ქალბატონს, დედამისის მეგობარს. პატარა აბრაამს დიდი სულიერება იმთავითვე ეტყობოდა და გამზრდელმა აბრაამი მწიგნობრობის მასწავლებელს მიაბარა. ბიჭი ღრუბელივით ისრუტავდა ღვთის სიტყვას. შვიდი წლის აბრაამს გამზრდელი მოუკვდა და მეორედ დაობლდა. ბიჭს ტრაპეზუნში ყოფნა გაუჭირდა, თანაც უმაღლეს მეცნიერებათა შესწავლის სურვილი გაუჩნდა და ქალაქ ბიზანტიაში გაემგზავრა. ამაში მას მეფე რომანოზის ერთი მოხელე დაეხმარა. ჩინოვნიკს ისე მოსწონებია ბავშვის გონიერება, უმალვე წაუყვანია ბიზანტიაში და იქ ერთი სახელგანთქმული მასწავლებლისთვის, ვინმე ათანასესთვის მიუბარებია. მოკლე ხანში აბრაამი განათლებით თავის მასწავლებელს გაუტოლდა. ბიზანტიაში ობოლი ყმაწვილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა იშვილა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი შეძლებული იყო და მათთან დიდებული ტრაპეზი იშლებოდა, აბრაამმა გაიმკაცრა მარხვა, რომელიც სიყრმიდანვე ასე შეჰყვარებოდა. ორ დღეში ერთხელ იღებდა საზრდელს, ისიც - ქერის პურსა და მწვანილს, მღვიძარებასა და ლოცვაში ათენებდა ღამეებს. ვიდრე მონაზონი გახდებოდა, სულით უკვე ბერულად ცხოვრობდა.

ერთხელ აბრაამის მამობილი, რომელიც მხედართმთავარი გახლდათ, მეფემ რაღაც საქმეზე ეგეოსის ზღვის კუნძულებზე გაგზავნა. სარდალმა თან აბრაამიც წაიყვანა. სწორედ ამ მოგზაურობისას მოჰკრა თვალი ყმაწვილმა ათონის მთას და მთელი გულით შეიყვარა. ბიზანტიაში დაბრუნებულმა აბრაამმა შეიტყო, რომ დედაქალაქს ოლიმპოს მთიდან ღირსი მამა - კიმინის მონასტრის წინამძღვარი მიქაელ მალეინი სწვეოდა. ეახლა და გულისნადები გაანდო. მამა მიქაელთან სტუმრობისას გაიცნო ღირსი მამის ნათესავი, სარდალი ნიკიფორე, რომელიც შემდგომში დიდ როლს შეასრულებს წმინდა ათანასეს ლავრის დაარსებაში.

დაბრუნდა თუ არა მამა მიქაელი ოლიმპოზე, აბრაამი წარუდგა და სთხოვა, ბერად აღეკვეცა. მოძღვარს, რომელმაც იცოდა მისი წარსული და განჭვრიტა მომავალი, აღარ უყოყმანია, ყმაწვილი ანგელოზის სქემით შემოსა და სახელად ათანასე უწოდა. სიყრმიდანვე მკაცრ

მარხვას მიჩვეულ ბერ ათანასეს სურდა, საკვები კვირაში მხოლოდ ერთხელ მიეღო, მაგრამ მოძღვარმა მისი ნების მოსაკვეთად უბრძანა, საჭმელი სამ დღეში ერთხელ ეჭამა, ცხოველის ტყავზე წამოწოლილს დაეძინა და არა მჯდომს, როგორც მანამდე იქცეოდა. ათანასე უსიტყვოდ ემორჩილებოდა მოძღვარს. კიმინის მონასტრის ძმობა მას სიყვარულით „მორჩილების ძეს“ ეძახდა. ოთხწლიანი გამოცდის შემდეგ მოძღვარმა ათანასეს განმარტოებით ცხოვრების ნება მისცა.

ერთხელ სარდალი ნიკიფორე და მისი ძმა, პატრიკიოსი ლევი, ბიძას სწვევიან. საუბრის შემდეგ მამა მიქაელს გადაუწყვეტია, მათთვის თავისი საგანძური - ბერი ათანასე ეჩვენებინა. ახალგაზრდა ბერის საუბარმა მოხიბლა დიდებულნი - მის ბაგეთაგან მართლაც რომ მადლის წყარო მოედინებოდა. მამა მიქაელმა, ლევისა და ნიკიფორეს აღფრთოვანება რომ დაინახა, აკურთხა - სულიერი რჩევისთვის ათანასეს მიაკითხეთ, ამიერიდან ის იქნება თქვენი მოძღვარიო. ნიკიფორეს სურვილიც კი გაუჩნდა, იქვე შემდგარიყო ბერად, მაგრამ ათანასემ ურჩია, უფალს მინდობოდა, რომელიც ყოველი კაცისთვის უმჯობესს იქმს. იმ დღიდან ათანასესთვის აუტანელი გახდა მონასტერში ცხოვრება. ყველა პატივით ეპყრობოდა, წმინდა მიქაელი კი მას თავის შემცვლელად ამზადებდა. წლები გადიოდა, მოძღვარი ბერდებოდა, ხშირად ავადმყოფობდა. მონასტრის ძმობა ათანასეში მომავალ იღუმენს ხედავდა. ერთ დღესაც ათანასემ აიღო თავისი გადაწერილი წიგნები, ოთხთავი, სამოციქულო, თავისი მოძღვრის კუნკული, ვითარცა სიწმინდე, თან წარიტანა, და ფარულად ათონისკენ გაემგზავრა.

იმხანად მთაწმინდაზე მრავალი ღირსი მამა მოღვაწეობდა. ათანასემ მთელი ათონი მოიარა და ბოლოს ერთ განდეგილს დაემოწაფა. იცოდა, რომ ნიკიფორე და ლევი ძებნას დაუწყებდნენ, ამიტომ ახალ მოძღვარს ბარნაბად გაეცნო. ერთი უსწავლელი ბერი ვარო, უთხრა, ვმოგზაურობდი, ჩვენი ხომალდი ჩაიძირა და მეღა გადავრჩიო. მოძღვარი მოხუცებული და უძლური იყო, ათანასეც მორჩილებითა და გულმოდგინებით ასრულებდა ყოველგვარ საქმეს. ამასობაში ნიკიფორემ შეიტყო, რომ ათანასე კიმინის მონასტრიდან გაპარულიყო. ათონზე წავიდოდაო, იფიქრა და თესალონიკის მმართველს წერილი გაუგზავნა. სთხოვდა, პირადად სწვეოდა მთაწმინდას და ბერი ათა-

ნასე მოეძებნა, თან მისი გარეგნობა, განსწავლულობა, სიბრძნე აღუწერა. ძებნა ამაო გამოდგა - ათონზე ასეთს არავის იცნობდნენ. პროტმა (ათონის მმართველმა) დაამშვიდა: შობას ყველა ათონელი ბერი კარიესის ეკლესიაში შეიკრიბება, იქნებ მაშინ მაინც ვიპოვოთო. მართლაც 25 დეკემბერს ეკლესია ბერებით აივსო, მათ შორის ათანასეც იყო, და პროტმა ერთ მათგანში თითქოს ათანასე შეიცნო, თუმცა მან სთხოვა, მისი ვინაობა არ გაემჟღავნებინა. არც პროტს უნდოდა, ათონიდან გაეშვა ესოდენ დიდსულიერი ბერი.

ათანასე კარიესიდან სამი მილის მოშორებით დასახლდა. მისი ხელსაქმე წიგნების გადაწერა იყო, აღებულ ფულს კი მოწყალებად გასცემდა. ამასობაში ნიკიფორეს ძმა ლევიმ, დასავლეთ ჯარების სარდალმა, სძლია სკვითებს და უკან დაბრუნებისას ღვთისმშობლისთვის მადლობის შესაწირად ათონის მთაზე შეიარა. იქვე გაიკითხა და შეიტყო ათანასეს ადგილსამყოფელიც. დიდი სიხარულით შეხვდა სულიერი მამა-შვილი ერთმანეთს. სარდლის სტუმრობის შემდეგ უამრავი ხალხი მიდიოდა მასთან სულიერი რჩევისთვის, ბერ ათანასეს კი მყუდროება სწადდა. კაცთა დიდებას გაქცეული ათონის კიდეზე დასახლდა. ამ ადგილს მელანოსს უწოდებდნენ, რაც ქართულად შავს ნიშნავს. ბნელეთის ძალები დიდხანს და ამაოდ ცდილობდნენ იქიდან მის გაძევებას.

იმ ხანებში ნიკიფორე სამეფოს მთავარსარდლად დანიშნეს და კრეტაზე გაგზავნეს აგარიანთა გასანადგურებლად. გამარჯვებით შემოქცეულმა სარდალმა ათონზე ხომალდი გაგზავნა ათანასეს მოსაყვანად. არ სურდა ღირს მამას კელიის დატოვება, მაგრამ ათონელმა ბერებმა აიძულეს ნიკიფორესთან გამგზავრება. „ღირსო მამაო, - უთხრა შეხვედრისთანავე მთავარსარდალმა, - შენი ლოცვით დავამარცხეთ აგარიანნი. ათონის მთას აღარაფერი ემუქრება. ერთს გთხოვ მხოლოდ: ააგე სადმე დიდი ტაძარი და ძმათა სენაკები; მინდა აღთქმა შევასრულო, ბერად შევდგე და აქ დავსახლდეო". მცირე ხნის შემდეგ ნიკიფორემ 6 ლიტრი ოქრო გაუგზავნა თავის მოძღვარს და ისიც იძულებული გახდა, მონასტრის მშენებლობა დაეწყო. მალე მელანოსის სანახებში დიდებული სავანე წამოიმართა. ტაძრისთვის საძირკველს რომ ჭრიდნენ, ეშმაკმა მუშებს ხელები ისე მოუდუნა, რომ პირთან ლუკმის მიტანაც არ შეეძლოთ. წმინდა ათანასემ მათთვის ილოცა და

მუშები განიკურნენ. ეს იყო მის მიერ მოხდენილი პირველი სასწაული. რამდენიმე განკურნებული მუშა ბერადაც აღიკვეცა და სავანეში დარჩა.

როდესაც წმინდა ათანასე დიდმა სახელი გაითქვა, მის მონასტერს უამრავი ბერობის მსურველი მიაწყდა. მალე წმინდა მამამ ორი პატარა ტაძარიც ააგო, ხოლო  დიდი სქემის შემოსვის შემდეგ, სავანეში სატრაპეზო და სასნეულოც ააშენა. წმინდა ათანასე, გარდა დიდი სავანის მშენებლობისა, ცდილობს ათონზე ყამირი და უნაყოფო მიწების მოხვნასა და დამუშავებას. მოშორებით რამდენიმე წყარო მოჩუხჩუხებდა. მან წყალი თიხის მილებით მონასტრამდე მიიყვანა. ღირსი მამა ლოცვითაც შეეწეოდა მშენებლებს და არც მძიმე ჯაფას ერიდებოდა სამი კაცის საქმეს აკეთებდა.

ლავრის მშენებლობით წმიდა ათანასე ათონის სამონასტრო ცხოვრების საყრდენი ბურჯი გახდა. მან რამდენიმე ერთმანეთისგან გათიშული მონასტერი, სკიტი და კელია ერთმანეთთან შეაკავშირა და მონასტერში მცხოვრები მოწაფეებიც ერთმანეთთან შეაერთა. მონაზვნები კვლავ თავიანთ ძველ სამყოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ სულიერად მასზე იყვნენ დაქვემდებარებულნი. მას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს შეუცვლელი აღმშენებელი და ათონური ბერ-მონაზვნობის გამგებელი. წმიდა ილუმენმა ძველი პალესტინის სავანეების მიბაძვით შეადგინა თავისი მონასტრის წეს-განგება და ძლიერ ზრუნავდა თავის სამწყსოზე.

სავანეში მიდიოდნენ ძმები არა მარტო საბერძნეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც. აქ უმოღვაწიათ დიდ ქართველ მამებსაც: იოანეს (ხს. 12 ივლისს) და ექვთიმეს (ხს. 13 მაისს), იოანე-თორნიკყოფილს (ხს. 12 ივნისს)... იოანე ქართველი თავის მცირეწლოვან ვაჟთან ერთად მისულა ათანასესთან. მეცნიერთა აზრით, ათანასე და იოანე თანატოლები იყვნენ და ერთმანეთს ოლიმპოდან იცნობდნენ. იოანე ქართველს ლავრისთვის დიდი ღვაწლი დაუდვია. წმინდა ათანასე წერს: ,,იოანე ქართველი ჩვენს ძმობას ისე ემსახურა, როგორც არც ერთი იმათგანი, ჩვენს დროში თუ ძველად რომ ბრწყინავდნენ. რამდენი იშრომა და ილვაწა ამ კაცმა! ხშირად სატახტო ქალაქშიც ჩადიოდა, ხვდებოდა მეფეებს, ისე რომ, რუდუნებით და კეთილი შუამდგომლობით იოანე მეფისგან მიიღო ქრისობული (სიგელი), რომელიც

ლემნოსის შემოსავლიდან ჩვენი ლავრისთვის 244 ნომიზმის ბოძებას ადასტურებდა... ბასილი მეფემაც (იოანეს შემდგომ რომ მეფობდა) უბოძა ქრისობული კუნძულ ნეონის შესახებ, ხოლო მან ის ლავრას აჩუქა“. წმინდა ათანასეს კურთხევით, იოანე ქართველმა და უკვე ბერად აღკვეცილმა იოანე – თორნიკემ ლავრიდან მოშორებით იოანე მახარებლის სახელობის ეკლესია და სენაკები ააშენეს, სადაც ცხოვრობდნენ კიდეც, სანამ ბარდა სკლიაროსთან საომრად გაგზავნილმა და გამარჯვებულმა იოანე-თორნიკემ უამრავი ოქრო არ ჩამოიტანა. ამასთან ერთად ბასილმა გამარჯვებულ ბერ-სარდალს სამი მონასტერი უბოძა. ერთი მათგანი, „ტუს კლემენტოდ“ წოდებული, ათონზე იყო. ეს სწორედ ის მონასტერი გახლდათ, რომელიც შემდგომში ივერონად იქცა. ქართველებს წმინდა ათანასეს ლავრისთვის უამრავი თანხა შეუწირავთ. „წმინდა იოანე ქართველმა საკუთარი ლავრა კი ააშენა, მაგრამ ამით არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა, – ბრძანებს წმინდა ათანასე, – კვლავაც ჩვენთან ერთად შრომობდა. იღვწოდა, გვერდით გვედგა ყველა საქმეში და თუ შეიტყობდა, რომ რამე გვჭირდებოდა, უმალ გვაძლევდაო“. ამიტომაც უბოძებია წმინდა ათანასეს ქართველთა მონასტრისთვის სიგელი, რომლითაც მათ ხომალდის ყოლის ნება ეძლეოდათ.

მთაწმიდაზე ღირსი ათანასეს მისვლამ და იქ უდიდესი ლავრის მშენებლობამ დაარღვია თავმდაბალი განდეგილების მყუდროება. ეს იყო პირველი დიდი კინოვია (საერთო საცხოვრისის ცხოვრების წესის მიმდევარი სამონასტრო დაფუძნება) ცენტრალიზებული შიგა წყობილებით. როგორც ათანასეს ცხოვრებაშია აღნიშნული, იგი ცილისწამების მსხვერპლი გახდა და მთაწმინდის ადმინისტრაციული ორგანოც კი მის წინააღმდეგ განეწყო. მას „ახალი დემონების შემომყვანად“ თვლიდნენ და გასამართლებასაც კი უპირებდნენ, ვინაიდან მან თითქოსდა ბერ-მონაზვნური წესები და მამათა სიმშვიდე დაარღვია. წინააღმდეგობა გამოწვეული იყო იმის შიშით, რომ არ მომხდარიყო მცირე ზომის მონასტრების შერწყმა და გაქრობა. თუმცა თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ზეციური დედოფალი მფარველობდა წმიდანს და იცავდა განსაცდელთაგან.

ერთხელ, ღვთის ნებით, ათონის მთაზე საშინელი შიმშილობა დაიწყო. სათავსოში და საკუჭნაოში აღარაფერი მოეპოვებოდათ და

სულითა და ხორცით დაუძლურებული ბერები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ ლავრას. მარტოდმარტო დარჩენილი ნეტარი ათანასეც სულმოკლეობამ შეიპყრო და გაემგზავრა, მაგრამ მონასტრიდან ორი საათის სავალზე, ზღვასთან ახლოს, მიუვალ და გაუდაბურებულ ტყეში მის შესახვედრად მომავალი ჰაეროვანი თავსაბურიანი ქალბატონი დაინახა, რომელმაც ტკბილხმოვანი ხმით ჰკითხა: ,,ვინ ხარ და საით მიდიხარ?" უნებლიე მოწიწების გრძნობით აღვსილი წმიდა ათანასე შედგა. - ,,მე აქაური ბერი ვარ", - უპასუხა და თავის გასაჭირზე მიუთხრო. - ,,და პურის ნატეხისთვის ტოვებ ამ სავანეს, რომელსაც განდიდება უწერია მოდგმიდან მოდგმამდე? სად არის შენი სარწმუნოება? გაბრუნდი და მე მიგულვე შემწედ!" - ,,შენ ვინა ხარ?" - ჰკითხა ათანასემ. ,,მე დედა ვარ შენი უფლისა", - მიუგო უცნობმა ქალმა, სულმოკლეობაში ამხილა და შეწევნა აღუთქვა. უთხრა, რომ თავად გახდებოდა მონასტრის ეკონომოსი (მეურნეობის გამგებელი), რათა მათ აღარ ჰქონოდათ ეს საზრუნავი. წმინდა ათანასემ არ დაიჯერა, რომ მის წინაშე ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელი იდგა — ეშმაკსაც შეუძლია ნათლის ანგელოზის სახე მიიღოსო. მაშინ დედაღვთისას უთქვამს: ხომ ხედავ ამ ქვას? დაჰკარი კვერთხი, და მიხვდები, ვინც ვარ. იცოდე, ამის შემდეგ მე ვიქნები შენი იკონომოსიო. წმინდა ათანასე მისი სიტყვისაებრ მოიქცა. მოხვდა და თუ არა ქვას კვერთხი, თითქოს მეხი დაეცაო, გასკდა და ბზარიდან გადმოხეთქა მადლმოსილმა წყარომ, რომელიც დღემდე მოედინება, სამკურნალო თვისებები აქვს და კეთილგემოვნებით ატკბობს და აგრილებს ბერებსა და მონასტერში მისულ მლოცველებს.

წმინდა ათანასემ დააპირა, რომ ღვთისმშობელს ფეხებში ჩავარდნოდა, თუმცა ის ისე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. სავანეში მიბრუნებულ ათანასეს სათავსოები სავსე დახვდა სარჩოსანოვაგით. მას შემდეგ დიდ ლავრას აღარასოდეს ჰყოლია სხვა ეკონომოსი, იმ სისტემის თანახმად, რაც სხვა მონასტრებშია გავრცელებული, მონასტერს მხოლოდ ეკონომოსის თანაშემწე ჰყავს. ღმრთისმშობლის კურთხევით სხვა დროსაც ავსებულა სანოვაგით საკუჭნაო და ასეთი სასწაულები სწორედ გაჭირვების დროს ხდებოდა, როცა აურაცხელ მუშახელს, ხალხს და მონაზვნებს სარჩო აღარ ჰქონდათ.

შემდგომში ამ ამბის პატივსაცემად დიდ ლავრაში შეიქმნა ყოვ-

ლადწმინდა ღვთისმშობლის ,,იკონომისად" წოდებული ხატი, რომელზეც ტახტზე მჯდომ ღვთისმშობელს მუხლზე მაცხოვარი უზის, მის უკან მდგარი ორი მთავარანგელოზის გარდა ხატზე გამოსახულია 10 წმინდანი - მისგან მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელი, ათანასე ათონელი, მიქაელ სინაიდელი; ქვემოთ - იმპერატორი ნიკიფორე ფოკა და წმინდა დიდმოწამე გიორგი, ღვთისმშობლის მარცხნივ სიმეონ ღვთისმიმრქმელი, სტეფანე პირველმოწამე, და ქვემოთ წმინდა დიდმოწამე დემეტრე და იმპერატორი იოანე ციმისხი (ამ ორმა იმპერატორმა დიდ მონაწილეობა მიიღო წმინდა ათანასეს ლავრის დაარსებაში), თუმცა წმინდა ,,ეკონომისას" ასლებზე გამოსახულია მხოლოდ ორი წმინდანი ლოცვით პოზიციაში - წმინდა ათანასე, რომელიც მარჯვნივ უდგას თავისი ლავრის გამოსახულებით, და მარცხნივ წმინდა მიქაელ აღმსარებელი, სინაიდელი ეპისკოპოსი, იგი გამოსახულია ხელში ქარტიით, რომელზეც მისი ის სიტყვები წერია, რომელიც მან ხატმბრძოლ იმპერატორს ლეონ სომეხს უთხრა ,,თაყვანს ვსცემ წმიდა ხატებს მაცხოვრისა ჩემისა იესო ქრისტესი და დედისა მისისა, ყოვლადწმიდა ქალწულისა და ყოველთა წმიდათა", ამიტომ ვერ აღვასრულებ შენს ბრძანებას, ვერ გავასვენებ ტაძრიდან წმიდა ხატებსო *(იგი აღესრულა გადასახლებაში, 821 წ. მისი თავი ინახება ათანასეს ლავრაში, ხოლო წმიდა ნაწილები - ივერთა მონასტერში;* ხს 23 (05.06) მაისი). ეს დიდებული ხატი კვლავინდებურად ისევ იმ ადგილას არის დაბრძანებული - ძალიან მოკრძალებულ კივოტში, მონასტრის ორად გაყოფილი ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც წმინდა ათანასეს მეორეჯერაც გამოეცხადა დედა ღვთისა, ანუგეშა, და გაჭირვებაში შეწევნა აღუთქვა მასაც და მის ლავრასაც. მისი შემწეობით მრავალი სასწაული აღსრულებულა. მონაზვნები მის წინაშე განსაკუთრებული ღმრთისმოშიშებით აღავლენენ სამადლობელ ლოცვებს. ძალიან ხშირად დედა ღმრთისმშობლის კურთხევით მონასტრის სარჩო-სანოვაგე და სხვა საჭირო საგნები გამრავლებულა.

ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილზე, სადაც წყარომ ამოჩქეფა, ამ ამბის უკვდავსაყოფად და მადლის გასამრავლებლად შემდგომში ააშენეს მცირე ზომის ეკლესია, და მასში დააბრძანეს ახლადდაწერილი ხატი, რომელზეც ასახულია წმინდა ათანასესა და დედა ღვთისმშობლის სასწაულებრივი შეხვედრის სცენა. ამ ხატს, ისევე როგორც

ეკონომოსას, ჩაუქრობლად უნთია წინ კანდელი. ამ ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე არის ღია გალერეა მომლოცველთა და ხატის თაყვანისმცემელთა დასვენებისათვის, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

წმინდა ,,ეკონომისას‘‘ ანუ ,,მაშენებელისა‘‘, და მისი ასლების წინაშე ლოცულობენ და ევედრებიან, რომ მისცეს მათ - ღირსეული და წარმატებული სამსახური, კარგი მეუღლე და ოჯახური ცხოვრების ღირსეული უზრუნველყოფა; მას ევედრებიან გვალვისა და შიმშილობისაგან დაცვას, კარგ მოსავალს, მატერიალური სიძნელეების დაძლევას და ყოფით საქმეებში (მშენებლობა, რემონტი, ბიზნესი, ურთიერთობები, ვალებისაგან განთავისუფლება) შემწეობას. ასევე ეს სიწმიდე პატიოსან ბიზნესმენთა მფარველადაც ითვლება. მას ხშირად მიმართავენ კომპანიებისა და ბიზნესის გაკოტრებისაგან ხსნის თხოვნით. მით უმეტეს, რომ ბიზნესის გაკოტრება მხოლოდ მათ კი არ დააზარალებს, არამედ იქ მომუშავე მრავალ ადამიანს.

დიდი ღვაწლით განვლო წუთისოფელი წმინდა ათანასემ, ღვთისაგან ძალამიცემული სიცოცხლეშივე მრავალ სასწაულს აღასრულებდა, კურნავდა სნეულთ, იყო მაგალითი თავმდაბლობისა და სიყვარულისა. აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნო, იხმო მონასტრის ძმობა და უკანასკნელად დაარიგა: ,,ძმებო და შვილებო, ყველამ მოთოკეთ ენა, რამეთუ სჯობს, კაცი დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდეს, ვიდრე ენისგან დაეცეს... ნუ შეძრწუნდებით, თუკი იხილავთ, რომ რაიმე შემემთხვაო‘‘. ძმები ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. ღირსი მამა შეიმოსა, წამოისხა ანაფორა, დაიხურა თავისი სულიერი მამის მიქაელ მალეინის კუნკული და ექვს ძმასთან ერთად ეკლესიის ხარაჩოებზე ავიდა, მაგრამ ღვთის განგებით ტაძრის გუმბათი ჩაინგრა და მამები დაიტანა. ხუთი ბერი იქვე გათავდა. მამა ათანასე და ოქრომჭედელი დანიელი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. სამი საათი ესმოდათ ქვებს შორის მოყოლილი მამა ათანასეს ლოცვა: ,,დიდება შენდა, ღმერთო, უფალო იესო ქრისტე, შემეწიე მე‘‘. ქვები რომ ააცალეს, ღირსი მამა უკვე სამარადისო სასუფეველში გადასულიყო. თავი ტრაპეზისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ხელები ჯვარის სახედ დაეწყო, ხოლო ფეხები მაღლა აეწია, თითქოს ზეცისკენ მიემართებაო. სხეულზე არავითარი ჭრილობა არ ეტყობოდა, მხოლოდ მარჯვენა ფეხი გაეკაწრა ხეს. ამ ნაკაწრიდან სამი დღის განმავლობაში

მოედინებოდა სისხლი, წესის აგებისას სახე მისი საოცრად გან-სპეტაკდა, სისხლმა კი უხვად იწყო დენა. ათონელი ბერები მას, ვით წმინდა მირონს, ისე იცხებდნენ. დიდი პატივით დაკრძალეს ღირსი მამა. ბევრი დასტიროდა მაშინ სულით ობლობას. მათ შორის ქართველ-თა ცრემლიც ერია...

ქართველთათვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ წმ. ათანასე ათონე-ლის ანდერძის მიხედვით, ამ უდიდესი ლავრის ეპიტროპებად ერთ-მანეთის მომდევნოდ უნდა განწესებულიყო: იოვანე იბერი, ექვთიმე და გიორგი I (ვარაზვაჩე). ეს „მძიმე შეცდომა“ წმინდა ათანასეს არ აპატიეს არც მისმა თანამოღვაწეებმა არც მომდევნო თაობებმა, რაც აისახა წმ. ათანასეს „ცხოვრების“ ორ ბერძნულ რედაქციაში, სადაც სრულიად იგნორირებულია იოვანე ქართველი და ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ქართველებს და ათანასეს ლავრის საკრებუ-ლოს შორის წმინდა ათანასეს სიცოცხლეში, პირველ რიგში წმ. ათანასე ლავრელსა და წმ. იოანე ქართველს შორის.

ერთხელ წმინდა ათანასემ თავისი ლავრის ეზოში კვიპაროსები დარგო. ასევე მოიქცა წმინდა იოანეც ივერონში. გავიდა ხანი, კვიპ-აროსებმა ტანი აიყარეს, იოანესებმა – უფრო მეტად... ამ ოციოდე წლის წინათ დიდ შფოთი ატყდა ბერძენ ბერებს შორს. ზოგი ამბობ-და, არ შეიძლება, იოანეს კვიპაროსი წმინდა ათანასესაზე მაღალი იყოსო და მის დამოკლებას მოითხოვდა. კეთილგონიერ ძმათა ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ამას, მაგრამ სახიერმა უფალმა და მისმა მსახ-ურებმა წმინდა ათანასემ და წმინდა იოანემ ინებეს, არ ყოფილიყო ძმათა შორის შფოთი ამ უმნიშვნელო საკითხის გამო – მოხდა ისე, რომ წმინდა იოანეს კვიპაროსს მეხი დაეცა და სწორედ იმ ადგილას მოკვეთა, სადაც გადაჭრას უპირებდნენ.

# სავედრებელი პარაკლისი

# ღმრთისმშობლის ხატისა

# „ეკონომისად“ ანუ „მაშენებელად“

# სახელდებულისა

***მღდელი:*** **კურთხეულ არს-ი.**

***და უკეთუ ერისკაცია, იტყჳს:*** უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, შეგჳწყალენ ჩუენ, ამინ.

დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკჳდრე ჩუენ შორის და წმიდა-მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ (3-გზის). დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ; უფალო, გჳჴსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის). დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამ-

დებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

***მღდელი: რამეთუ შენი არს სუფევაჲ...***

***გუნდი: ამინ.***

უფალო, შეგჳწყალენ (12-გზის). დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა. მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩუენსა ღმერთსა. მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თჳთ ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ, ყურად-იღე ვედრებაჲ ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიმართლითა შენითა; და ნუ შეხუალ საშჯელსა მონისა შენისა თანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი, რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქუეყანად ცხორებაჲ ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი საუკუნოჲ. და მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა, და ჩემ შორის შემიძრწუნდა გული ჩემი. მოვიჴსენე დღეთა პირველთაჲ, და ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ჴელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი ჴელნი ჩემნი, და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანაჲ ურწყული შენდამი. მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა; ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღჳმესა. მასმინე მე განთიად წყალობაჲ შენი, რამეთუ მე შენ გესავ; მაუწყე მე, უფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი. მიჴსენ მე მტერთა ჩემთაგან, უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე. მასწავე მე, რაჲთა ვყო ნებაჲ შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი; სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქუეყანასა წრფელსა. სახელისა შენისათჳს, უფალო, მაცხოვნო მე და სიმართლითა შენითა გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი. და წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაჲ შენი ვარ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა ღმერთო. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა ღმერთო. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

ღმერთი უფალი და გამოგჳჩნდა ჩუენ, კურთხეულ არს მომავალი სახელ-ითა უფლისაჲთა.

**მუჴლი 1.** აუვარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი. **მუჴლი 2.** ყოველი თესლები გარე მომადგა მე, და სახელითა უფლისაჲთა ვერეოდე მათ. **მუჴლი 3.** არა მოვკუდე, არამედ ვცხოვნდე, და განვსთქუნე მე საქმენი უფლისანი. **მუჴლი 4.** ლოდი, რომელი შეურაცხყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა, უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

## ტროპარი, ჴმაჲ 4

ყოვლადძლიერო და ურცხვენელო შუამდგომელო ჩუენო, ყოვლადმოწყალეო ღმრთისმშობელო, სახიერო განმგებელო ქრისტეანეთაო, ნუ უგულებელს-ყოფ ვედრებათა ჩუენთა, არამედ განამტკიცე ეკლესიაჲ მართლმადიდებელთაჲ, და დაიცევ მამული ჩუენი მტერისა საფრჴისაგან და კეთილდღეობაჲ მოანიჭე, რომელნი მართლმორწმუნებითა ცხოვნდებიან მას შინა, რამეთუ შენ ხარ, რომელმან ჰშევ ღმერთი ჴორცითა, მხოლოო კურთხეულო.

**დიდებაჲ... ტროპარი (იგივე) აწდა...**

არასადა დავსდუმნეთ, ღმრთისმშობელო, ძლიერებათა შენთა ქებად, უღირსნი ესე მონანი შენნი. რამეთუ არათუმცა შენ გვფარევდი ოხითა შენითა, ვინმცა სადა გჳჴსნნა ჩუენ ესოდენთა ჭირთაგან; ანუ ვინმცა დაგვიცვნა ჩუენ აქამომდე ფლობილად? არასადა განგეშორნეთ ჩუენ, დედოფალო კურთხეულო, რამეთუ შენ იჴსნი სულთა ჩუენთა ყოველთა განსაცდელთაგან.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჴოცე უსჯულოებაჲ ჩემი. უფროჲს განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უსჯულოებაჲ ჩემი მე უწყი, და ცოდვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რაჲთა განმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა, რამეთუ ესერა, უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა, ჭეშმარიტებაჲ შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაჲ და სიხარული და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღჴოცენ. გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული

წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და ულმრთონი შენდა მოიქცენ. მიჴსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხორებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაჲ ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუენ, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ჰყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალჱმისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესაწირავი და ყოვლად-დასაწუელი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

## გალობაჲ 1, უგალობდითსა, ჴმაჲ 8

**ძლისპირი:** ეტლთა მფლობელი ფარაო დაანთქა საკჳრველთმოქმედმან კუერთხმან მოსჱსმან, რომელმან გამოსახა სახჱ ჯუარისაჲ და განუპო ზღუაჲ მეწამული და ისრაელი იჴსნა განმავალი, მეტყუელი გალობასა უფლისასა: რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და დაგჳფარენ ჩუენ.**

უგალობთ გამოუთქუმელსა დედობრივსა მოწყალებასა შენსა ჩუენდა მომართ, დედოფალო, და გევედრებით: გარდამოგვივლინე მადლმოსილი შეწევნაჲ შენი, ჵ, ყოვლადწმიდ**აო** დედაო მარიამ, და იქმენ განმგებელ ცხორებისა ჩუენისა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ჭეშმარიტად ხარი შენ მიურულებელი მცველი და იღუმენი წილხვედრისა შენისა - ათონისა, და კეთილად განმგებელი დიდსა მას ლავრასა შინა მოსაგრეთა, რომელთაცა მიჰმადლე „ეკონომისად“ წოდებული ხატი შენი წინდად მოწყალებისა და ცხორებისა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

ვითარცა მჴსნელ ექმნებოდი განსაცდელთა მიერ გარე-შეცვულთა, და ნუგეშინისცემდი შეიწრებულთა და გლახაკთა, ეგრეთვე აწ შეისმინე ვედრებაჲ ჩუენი, დედოფალო, და წმიდასა მას ხატსა შენსა შევრდომილნი გჳჴსენ ყოველთა ძჳრთა და ვნებათაგან.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

დიდებულნი ითქუნეს შენთჳს თესლითი თესლადმდე, ქალწულო, რომელმან შეიწყნარე სიტყუაჲ ღმრთისაჲ წიაღსა შენსა და დაადგერ უხრწნელად, ღმრთისმშობელო მარიამ, ამისთჳს ყოველნი გადიდებთ, რომელნი შემდგომად ღმრთისა იპოვე მჴსნელად ჩუენდა.

## გალობა 3, განძლიერდასა

**ძლისპირი:** შენ, დამამყარებელო კამარათა ცისათაო, უფალო, და აღმაშენებელო ეკლესიათაო, დამამტკიცენ ჩუენ სიყუარულსა შენსა, თაო ყოვლისა სიხარულისაო, და განმაძლიერებელო მორწმუნეთაო, მხოლოო, კაცთ-მოყუარე.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

დაემკჳდრდა რაჲ ბერი ათანასე ათონსა, აღაგო სენაკები და ეკლესიაჲ სახელსა ზედა შენსა, ქალწულო მარიამ, და იწყეს რაჲ მოსაგრეთა მისლვად და განმრავლებად, შეიმოსა დიდი სქემაჲ, და შეჰმატა რაჲ სატრაპეზოჲ, კეთილად განაგებდა სამწყსოსა თჳსსა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

მიიწია რაჲ საშინელი სიყმილი მთასა მას, უბიწოო, გევედრებოდა ღირსი ათანასე გარე-წარქცევასა განსაცდელთასა, და განივლტოდენ რაჲ ყოველნი ძმანი ლავრისანი ათონითგან, იგიცა წარემართა განგე-ბულებითა საღმრთოჲთა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

ეჰა, სახიერებასა შენსა, დედოფალო, რამეთუ წინა შეემთხვიე ათანასეს გზასა ზედა, და უბრძანე რაჲ უკუქცევაჲ, აღუთქჳ მეურვე-ობაჲ სავანისა, აწცა გამოზარდე სული ჩუენი პურითა გულისჴმის-ყოფისაჲთა და გვასწავე გზაჲ კეთილად მსახურებისაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

დაემკჳდრე საშოსა ქალწულისასა და გამოუჩნდი კაცთა ჴორ-ციელად, ვითარცა სათნო იყავ, და გამოაჩინე იგი ჭეშმარიტად ღმრ-თისმშობელად, და შემწედ ყოველთა მორწმუნეთა, მხოლოო კაცთ-მოყუარე.

გჳჴსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშო-ბელო ქალწულო, რამეთუ ჩვენ ყოველნი, შემდგომად ღმრთისა, შენდა მოვივლტით, ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა.

მოიხილე ჩუენზედა, ყოვლადქებულო ღმრთისმშობელო, და ჴორცთა ჩუენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩუენისა სნეულებანი.

***მღდელი:*** ***შეგვიწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგვიწყალენ.***

***გუნდი:*** ***უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის).***

***მღდელი:*** ***მერმეცა გევედრებით ღმრთივდაცულისა ერისა ჩუენისა და მეუფებისა მისისათჳს*** (ქრისტეწსმოყუარისა მთავრობისა და მჴედრობისა მისისათჳს).

***გუნდი:*** ***უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის).***

***მღდელი:*** ***მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩუენისა ილიასათჳს, და ყოვლადუსამღდელოესისა*** *(აქა მოიხსენეთ ადგილობრივი მღდელთმთავარი),* ***და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩუენთათჳს.***

***გუნდი:*** ***უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის).***

***მღდელი:*** ***მერმეცა ვევედრნეთ უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რაჲთა შეიწყალნეს...*** *(აქა მოიხსენეთ სახელდებით ისინი, ვისთვისაც ევედრებით ღმერთსა).*

***გუნდი:*** ***უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის).***

***მღდელი:*** ***განამრავლე, უფალო, ჟამნი და წელნი ცხორებისა მათისანი და იჴსნენ იგინი, უფალო, ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, და ყოვლისაგან წყლულებისა სულისა და ჴორცთაჲსა და მიუტევენ მათ ყოველი შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.***

***გუნდი:*** ***უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის).***

***მღდელი:*** ***მერმეცა გევედრებით ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტეანეთათჳს.***

***გუნდი:*** ***უფალო, შეგვიწყალენ. (3-გზის).***

***მღდელი:*** ***რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.***

***გუნდი:*** **ამინ.**

## წარდგომა

მსმენელნი შენმიერისა აღთქუმისანი, ჵ, დედათა შორის კურთხეულო, სარწმუნოებითა თაყუანის-ვჰსცემთ „ეკონომისად“ წოდებულსა ხატსა შენსა, და გევედრებით: მოიხილე განსაცდელთა ჩუენთა ზედა, და დაჴსნენ ყოველნი მწუხარებანი ჩუენნი, რომელთა დაგვიძს ყოველი სასოებაჲ შენ ზედა.

## გალობა 4, უფალო მესმასა

**ძლისპირი:** შენ ხარ, ქრისტე, ღმერთი ჩემი, შენ ხარ ძალი ჩემი, შენ ხარ უფალი ჩემი და სიქადული ცხორებისა ჩემისაჲ, რომელმან არა დააცარიელენ წიაღნი მამისანი და გამოუჩნდი სიმდაბლესა ჩემსა, ამისთჳსცა წინაჲსწარმეტყუელისა ამბაკუმის თანა ვიტყოდით: ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთ-მოყუარე.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ჰგონებდა რაჲ ათანასე მზაკუვარებასა ბოროტისასა, არქუ მას, რაჲთა კუერთხი სცეს კლდესა, და აღმოადინა რაჲ წყაროჲ სიტყჳთა შენითა, რწმენა, ვითარმედ ხარი შენ ყოვლადწმიდაჲ დედაჲ ღმრთისაჲ, და ეწადა რაჲ შევრდომაჲ შენდა, უბიწოო, უჩინო-იქმენ მეყსა შინა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

დიდებულებამან აღთქუმისა შენისამან სიხარულითა აღავსო რაჲ ღირსი ათანასე, უფროჲს განკჳრდა, იხილა რაჲ ბეღელი სავსჱ საზრდელითა, და უკუნ-იქცენ სხუანიცა ძმანი, მცნობნი გამოცხადებისა შენისა, აწ ჩუენცა აღგჳხილე დაბნელებულნი თუალნი სულისანი, რაჲთა ვაქებდეთ სახიერებასა გულმოწყალებისა შენისასა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

ვითარ აღუთქვი ღირსსა მას, დედოფალო, თჳთ მოენიჭე განმგებლად ლავრასა მისსა, და იწროებათა და ჭირთა შინა მრავალგზის უჩვენე ძალი შეწევნისა შენისაჲ, აწ აღჴოცე მჭმუნვარებაჲ ჩუენი, ჵ, მიმადლებულო ქალწულო კურთხეულო, რომელნი შენ მიერ ვსასოებთ ნუგეშინისცემასა და დიდსა წყალობასა.

**აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

განაქარვე ყუედრებაჲ დედისა ევაჲსი, რაჟამს ღმერთი, დამბადებელი შენი მუცლად იღე უზეშთაეს კაცთა ბუნებისაჲ, და გვიშევ ჩუენ გამოუთქმელად, უბიწოო დედაო ქრისტჱს მაცხოვრისაო, მეოხ-გუეყავ მვედრებელთა შენთა.

## გალობა 5, ღამითგანსა

**ძლისპირი:** რაჲსათჳს განმიშორენ პირისაგან შენისა, ნათელო წარუვალო, და დამფარა მე ბნელმან წყუდიადისამან განუნათლებელმან, არამედ მომხედენ და ნათელსა მცნებათა შენთასა წარჰმართე სლვაჲ ჩემი, გევედრები.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

სასწაულთა შენთა მქადაგებელ იქმნა ღირსი იგი, და გამოსახა რაჲ წმიდაჲ ხატი შენი, ვითარცა ნიში უხილავად მუნ მყოფობისა შენისაჲ, ყოველნი შეუვრდებოდენ და გევედრებოდენ შეწევნასა, ვითარცა ყოვლად ტკბილსა და მოწყალესა ქრისტეს დედასა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

სათნო იჩინე რაჲ მმართებლობაჲ დიდისა ლავრისაჲ, ჵ, დედოფალო, თავს-იდევ ყოველი ზრუნვაჲ მისთჳს, ვითარცა მეურვემან, და ზეთი, იფქლი და სანოვაგჱ მრავალგზის განუმრავლენ მკჳდრთა მისთა, აწ ჩუენცა შეგვეწიე, უბიწოო, და უხუად განგვიმრავლე ნაყოფი ცხორებისაჲ.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

იხარებენ მამანი დიდისა ლავრისანი და ადიდებენ რაჲ უზომოთა მათ მოწყალებათა შენთაა, აწ ჩუენცა კეთილქებისა გალობითა შეგასხმამთ, ვითარცა ,,ეკონომისას“ დიდისა ლავრისასა და ბრძენსა ილუმენსა წმიდისა მის ათონისა მთისასა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

კადნიერებაჲ დედობრივი ძისა შენისა თანა მოიგე, ქალწულო, ყოვლად უბიწოო, და შეწევნასა ჩუენსა ნუ დააცადებ მისა მიმართ, რაჲთა გჳკსნნეს ჩუენ ყოველთა ჭირთაგან და ვნებათაგან ზედა-დასხმულთა, და განსაცდელთაგან გარე მოდგომილთა.

## გალობა 6, ღაღადყავსა

**ძლისპირი:** ვედრებასა ჩემსა განვჰფენ უფლისა მიმართ და მას აღუარებ ბრალთა ჩემთა მარადის, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცჱ ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია, და იონაჲსებრ ვღაღადებ: აღმომიყვანე მე, ღმერთო ჩემო.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

განითქუა რაჲ სამკურნალოჲ ეგე ძლიერებაჲ ცხოველისა მის წყაროჲსა, ჟამსა შეჭირვებისა მრავალი კაცი მიისწრაფდა ხუმევად მისა, და გევედრებოდენ რაჲ ლხინებასა, ყოვლადწმიდაო, შენცა არა ვის დაუტევებდი შეუწევნელად.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

აღმოსჩქეფდა რაჲ წყალი იგი მდინარედ მადლისა, აღაშენეს მცირჱ ტაძარი სახელსა ზედა ,,ცხოველსმყოფელისა წყაროჲსა‘‘, და ხატი შენი, აღმსახველი საკჳრველისა მის გამოცხადებისა შენისაჲ, მუნვე დააბრძანეს, შესავედრებელად მწუხარეთა და სნეულთა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

სადა იგი ღირს-იქმნა ნეტარი ათანასე საკჳრველისა მის ხილვისა შენისა, ყოველნი მომლოცველნი დიდისა ლავრისანი მიევლტიან სასოებითა, რაჲთა სიყუარულითა შეუვრდენ ხატსა მას შენსა, ცხორებისა და ჴსნისა მომცემელსა, და ჰმადლობდენ ღმერთსა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ნუ დასცხრები ვედრებასა ჩუენთჳს, ქალწულო, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, რამეთუ სიმტკიცე ხარ ჩუენ მორწმუნეთაჲ და სასოებითა შენითა განვძლიერდებით და სარწმუნოებითა გადიდებთ და თაყუანის-გცემთ შენ და ძესა შენსა.

*გჳჴსენ განსაცდელთაგან... მოიხილე ჩუენზედა... (გვ. 17)*

***მღდელი: მერმე და მერმე მშჳდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.***

***გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ.***

***მღდელი: შეგუეწიენ, გუაცხოვნენ, შეგჳწყალენ და დაგჳცვენ ჩუენ, ღმერთო, შენითა მადლითა.***

***გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ.***

***მღდელი: ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროჲსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომჴსენებელთა, თავნი თჳსნი და ურთიერთარს, და ყოველი ცხორებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევვედროთ.***

***გუნდი: შენ, უფალო.***

***მღდელი: რამეთუ შენ ხარ მეუფჱ მშჳდობისაჲ, და მაცხოვარი***

***სულთა ჩუენთაჲ, და შენდა დიდებასა აღუავლენთ მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.***

***გუნდი: ამინ.***

## კონდაკი

ზესთამბრძოლისა ჩემისათჳს, და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავთ, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ ვითარცა გაქუს ძლიერებაჲ უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩუენ, რაჲთა გიგალობდეთ შენ, კურთხეულო: გიხაროდენ, სძალო უსძლოო!

## იკოსი

სასოებითა შევრდომილნი წმიდასა ხატსა შენსა, „ეკონომისად“ წოდებულსა, სიხარულითა ვჭურეტთ ღირსთა ათანასე ათონელსა და მიქაელ სინაიდელსა, წმიდასა იოანე ნათლისმცემელსა და სიმეონ ღმრთისმიმრქმელსა, რომელნი ორთა მთავარანგელოზთა თანა კრძალვითა თაყუანის-გცემენ საყდარსა ზედა ღმრთეებრივითა ყრმითა მჯდომარესა, და მუნვე ვხედავთ რაჲ პირველმოწამესა მას სტეფანესა, და დიდმოწამეთა გიორგისა და დემეტრესა, კეთილმსახურთა იმპერატორთა - ფოკასა და იოანე ციმისხისა თანა, ჩუენცა მათითა მობაძვითა გადიდებთ შენ, უზესთაესსა განმგებელსა ათონისასა და გევედრებით: გუექმენ ჴელისამპყრობელად და ყოველთა იწროებათაგან გამომხსნელად: რომელნი გიგალობთ შენ, კურთხეულო: გიხაროდენ, სძალო უსძლოო!

***მღდელი: მოხედენ. სიბრძნით.***

***წარდგომაჲ სახარებისაჲ, ჴმაჲ 4:*** *მოვიჴსენო სახელი შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა.*

***მუხლი:*** *ისმინე, ასულო, და იხილე და მოყავ ყური შენი.*

***მღდელი: უფლისა მიმართ ვილოცოთ.***

***გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ.***

***მღდელი: რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, და რომელი წმიდათა შორის განისუენებ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.***

***გუნდი: ამინ.***

*მღდელი:* *ყოველი სული აქებდით უფალსა.*

*მუხლი:* *აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა, აქებდით მას სამყაროთა ძალისა მისისათა.*

*მღდელი:* *ღირსყოფად ჩუენდა სმენად წმიდისა სახარებისა უფალსა ღმერთსა ჩუენსა ვევედრნეთ.*

*გუნდი:* *უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).*

*მღდელი:* *სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდაჲ სახარებაჲ, მშჳდობაჲ ყოველთა.*

*გუნდი:* **და სულისაცა შენისა თანა.**

*მღდელი:* **ლუკასაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი.**

*გუნდი:* **დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა.**

# სახარებაი ლუკასი

მათ დღეთა შინა აღდგა მარიამ და წარვიდა მთად კერძო მსწრაფლ ქალაქად იუდაჲსა. და შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა და მოიკითხა ელისაბედ. და იყო ვითარცა ესმა ელისაბედს მოკითხვაი მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა და აღივსო სულითა წმიდითა ელისაბედ და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ. და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა. რამეთუ აჰა ესერა ვითარცა იყო ჴმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა, ჰკრთებოდა ყრმაჲ ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა. და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულებაჲ თქმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ. და თქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თჳსისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი, რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი. და დაადგრა მარიამ ელისაბედის თანა სამ თუე, და წარვიდა სახით თჳსა.

*გუნდი:* დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

მოწყალებითა შენითა, მრავალმოწყალეო ღმერთო, აღჰოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, მოწყალეო, აღჰოცენ ცოდვათა ჩემთა სიმრავლენი.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჰოცენ უსჯულოებაჲ ჩემი და შემიწყალე მე, ღმერთო.

***ბერი:*** მარადის გჳვი რაჲ მსწრაფლშემწედ, დედაჲ ეგე ღმრთისა მაღლისაჲ, გიგალობთ შენ, ყოვლად უხრწნელო, და გევედრებით, რაჲთა მოჰმადლო მშჳდობაჲ სოფელსა და ერსა ჩუენსა ძლევაჲ, და ჴსნაჲ ულლისაგან მტერთასა, შეურყეველად დამტკიცებაჲ ეკლესიისაჲ ქრისტჱს ღმრთისაგან და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

***მღდელი: აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი, და აკურთხე სამკჳდრებელი შენი, მოხედენ სოფელსა შენსა წყალობითა და მოწყალებითა, აღამაღლე რქაჲ ქრისტეანეთა მართლმადიდებელთაჲ, და გარდამოავლინენ ჩუენ ზედა მდიდარნი წყალობანი შენნი, მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისაჲთა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა; მეოხებითა პატიოსანთა უჴორცოთა ზეცისა ძალთაჲთა; პატიოსნისა, დიდებულისა, წინაჲსწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანჱსითა, წმიდისა დიდისა წინაჲსწარმეტყუელისა ელია თეზბიტელისა და მართლისა ენუქისითა; წმიდათა დიდებულთა, და ყოვლად-ქებულთა მოციქულთა თავთა, პეტრჱსა და პავლჱსითა; წმიდისა მოციქულისა თომასი და საქართველოს განმანათლებელთა მოციქულთა: ანდრია პირველწოდებულისა, სვიმონ კანანელისა, ბართლომესი, თადეოზისა და მატათაჲსითა; წმიდათა მამათა ჩუენთა, და მსოფლიოთა დიდთა მოძღუართა და მღდელთმთავართა: ბასილი დიდისა, გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა, და იოვანე ოქროპირისაჲთა; წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა და საკჳრველთმოქმედისაჲთა; წმიდისა დიდებულისა და ღუა-***

წლისა-მძლისა მოწამისა, ძლევა-შემოსილისა გიორგისა და წმიდათა დიდთა ქალწულ-მოწამეთა ბარბარჱსა და მარინჱსითა; ღირსისა დედისა ჩუენისა, მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და წმიდისა პატრიარქისა ევსტათი ანტიოქიელისა - ქართლის ეკლესიათა მაკურთხეველისაჲთა; წმიდათა მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანაჲსითა; წმიდათა მამამთავართა ჩუენთა: პეტრე, სამუელ, სარმიან, მამაჲ, არსენ, მელქისედეკ, იოანე-ოქროპირ, ნიკოლოზ, ევდიმოზ, იოსებ, კირიონ, ამბროსისაჲთა; ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა, მეორედ განმანათლებელთა საქართველოს ეკლესიისა და მარადის მფარველთა მისთა და წმიდისა მღდელმოწამისა ნეოფიტე ურბნელისაჲთა; ღმრთივ-განბრძნობილთა ნეტართა მამათა ჩუენთა: ილარიონ ქართველისა, სერაპიონ ზარზმელისა, გრიგოლ ხანძთელისა და საბა იშხნელისაჲთა; ღირსთა მამათა ჩუენთა ათონელთა: იოვანე და გაბრიელ ქართველთა, იოვანე თორნიკ-ყოფილისა და ეფთჳმე და გიორგი მთაწმინდელთაჲთა; წმიდათა დიდებულთა და ღუაწლისა-მძლეთა მოწამეთა ჩუენთა: რაჟდენისა, ევსტათი მცხეთელისა, ჰაბო ტფილელისა, გობრონისა, თევდორე მღდლისა, ქრისტეფორე გურულისა, ნიკოლოზ დვალისა, კოზმანისა, არგვეთისა მთავართა დავით და კონსტანტინჱსა და კონსტანტინე მთავრისაჲთა; წმიდისა მთავარ-მოწამისა ბიძინასა და წმიდათა დიდებულთა მოწამეთა: შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა; შალვა ახალციხელისა და წმიდათა ათთა-ბევრთა მოწამეთა, ტფილისს ხუარაზმელთაგან მოწყუედილთაჲთა; წმიდათა მოწამეთა ექუსათასთა გარეჯელთა ბერთა და მრავალთა წმიდათა მამათა და დედათა, აჭარაში თურქთაგან წამებულთაჲთა; წმიდათა ღუაწლისამძლეთა მეფეთა და დედოფალთა: მირდატ, აშოტ, არჩილ, დემეტრე, ლუარსაბ, შუშანიკ და ქეთევანისაჲთა; წმიდათა კეთილმორწმუნეთა და დიდთა მეფეთა ჩუენთა: ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებელისა, დემეტრე-დამიანჱსა, თამარისა და სოლომონისაჲთა; წმიდისა ილია მართლისა, ექვთიმე ღმრთისკაცისა და ექვთიმე აღმსაარებლისაჲთა; წმიდათა აღმსარებელთა მამათა ჩუენთა, იოანჱსა და გიორგი-იოანე ბეთანიელთა, და ღირსისა მამისა ჩუენისა არქიმანდრიტისა გაბრიელისა, აღმსაარებელისა და

*სალოსისაჲთა; წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისაჲთა იოაკიმ და ანნაჲსითა (და წმიდისა სახელი, რომლისა არს ტაძარი); და ყოველთა წმიდათა შენთაჲთა; ძლიერებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა ხატისა „ეკონომისად“ წოდებულისა, და ყოველთა სიწმიდეთა შენთაჲთა, გევედრებით შენ მრავალმოწყალეო ღმერთო, შეისმინე ჩუენ ცოდვილთა ვედრებაჲ, და შეგჳწყალენ ჩუენ.*

*გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (12-გზის).*

*მღდელი: წყალობითა და მოწყალებითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისაჲთა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ, თანა ყოვლადწმიდით, სახიერით, და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.*

*გუნდი: ამინ.*

## გალობა 7, კურთხეულარსა

**ძლისპირი:** ყრმანი ებრაელნი საჴუმილსა შინა ვიდოდეს, ცეცხლსა ზედა კადნიერებით შეცურეულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

საღმრთოჲ მადლი ხატისა შენისაჲ მოუკლებელად იქმოდა რაჲ შეწევნათა და სასწაულთა, განამრავლეს პირნი მისნი, და აწცა მათ მიერ შეეწევი ჭირთა და განსაცდელთა მიერ გარე-შეცვულთა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ვითარ მოწესენი დიდი ლავრისანი განშუენდებიან მადლითა ხატისა შენისაჲთა, ეგრეთცა მდინარესა საკჳრველებათასა აღმოაცენებ წმიდათა პირთა მიერ მისთა და გარდამოავლინებ ცუართა მადლისა შენისათა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

სურვილითა თაყუანის-ვჰსცემთ ხატსა შენსა, ჵ, სასოო ჩუენო ღმრთისმშობელო, და გევედრებით, რაჲთა გვექმნე მომზღუდველ სენთაგან და ნუგეშინისმცემელ ჟამსა მას იწროებისასა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ნათელსა უფლისასა ვიდოდით, მოვედით უგალობდეთ ქალაქსა სულიერსა სამეუფოსა, უბიწოსა ქალწულსა, ჭეშმარიტად ღმრთისმშობელსა, ვითარცა არს სასოჲ და მეოხი სულთა ჩუენთა, უკუნითი უკუნისამდე.

## გალობა 8, აკურთხევდითსა

**ძლისპირი:** მთასა ზედა მოსეს თანა-მზრახვალმან მაყულოვანი სახედ გამოაჩინა, ქალწულისაგან შობილსა უვნებელად ყოველნი ვაკურთხევთ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ყოვლად პატიოსანი ხატი შენი ბრწყინავს რაჲ სასწაულთა მიერ, მშჳდობით განგვარინებს სოფლისა ღელვათაგან, და უშურველად აღმოგვიცენებს მადლთა შენთა და წყალობათა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ვითარცა ხარი შენ წყაროჲ კეთილთა დაუსრულებელთა, ეგრეთცა ხატსა შენსა აქუს ძალი და მადლი შეწევნისაჲ და მის მიერ ახარებ მწუხარეთა და ნუგეშინისცემ უპოვართა და გლახაკთა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

საკჳრველთმოქმედსა ხატსა შენსა შევრდომილნი, დედოფალო, შენდა შევსწირავთ ვედრებასა, რაჲთა განწმიდო გონებაჲ ჩუენი ზრახუათაგან ამაოთა და განგვამტკიცო მართლ-სარწმუნოებასა შინა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

რომელმან ანგელოზისაგან სიტყუაჲ შეიწყნარა, და ღმერთი მხოლოჲ გჳშვა, და ნათელი გამოუბრწყინვა სოფელსა, ყოველნი ვაკურთხევთ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე.

## გალობა 9, ადიდებდითსა

**ძლისპირი:** განკჳრდეს ზესკნელს ცანი, და კიდენი ქუეყანისანი განკჳრვებულ იქმნნეს, რაჟამს ღმერთი შენ მიერ კაცთა გამოუბრწყინდა და წიაღი შენი უმაღლეს ცათა საყდართა გამოაჩინა. ამისთჳს, ღმრთისმშობელო, ანგელოზნი და კაცნი, ვითარცა ღირს ხარ, გადიდებენ შენ.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ღმრთივშუენიერი ხატი ეგე შენი, დედოფალო, ზღუდედ დაურღვეველად აქუთ მოქენეთა მათ შეწევნისა შენისათა, რამეთუ ყოველთა ვედრებისა მათისაებრ მიჰმადლებ კეთილთა სათხოვართა, აწცა მოიხილე განსაცდელსა ჩუენსა ზედა, ჵ, სძალო ღმრთისაო მარიამ, და გჳჴსენ ყოველთაგან ჭირთა და სავნებელთა.

**ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, დაგჳცვენ და...**

ნათლისა მომფენელ ლამპრად გჭურეტთ შენ, ჵ, დედაო უბიწოო და უქორწინებელო, რამეთუ დაუშრეტელთა სხივთა მიერ მადლისა შენისათა განსდევნი წყუდიადსა მას უსჯულოებისა და უმეცრებისასა, და სათნოებათა ნათლისა მიმართ განგვსწავლი ყოველთა შევრდომილთა წმიდისა ხატისა მიმართ შენისათა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**

ვუწყით რაჲ ღმრთივ-ბრწყინვალენი ნიშ-სასწაულნი, აღსრულებულნი ხატისა მიერ შენისა, ვიხარებთ და გევედრებით: ჵ, ყოვლად წმიდაო სანატრელო დედოფალო, ისწრაფე აწ ჴსნად ჩუენდა ცოდვათა და სულთა ვნებისაგან, და განგვათავისუფლე საუკუნეთაგან სატანჯველთა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

წინაჲთვე გქადაგებდეს, უბიწოო, წინაჲსწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს კიდობნად, კუერთხად, ტაკუკად და ბჭედ დახშულად, და მთად გამოუკუეთელად, და კიბედ ზეცისად აღმართებულად, და წყაროდ დაბეჭდულად, სულმცირედ ღრუბელად და მშობელად ევმანუელისა.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ, შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერობინთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებთ.

## მღდელი აკმევს; მკითხველი კითხულობს

ვითარცა ხარი შენ მეოხი უბრძოლველი და მწჱ ჭირვეულთაჲ, ეგრეთცა წმიდასა ხატსა ამას, „ეკონომისად“ წოდებულსა, აქუს ძალი და მადლი შეწევნისაჲ ძისა მიერ შენისა, ღმრთისმშობელო მარიამ, და შეუვრდებით რაჲ საფარველსა მისსა, შევსწირავთ შენდა ვედრებასა, რაჲთა შეეწიო სულიერთა და ჴორციელთა უძლურებათა ჩუენთა, და ცხორებაჲ ჩუენი წარმართო კეთილად.

დაღათუ წმიდაჲ ხატი ეგე შენი მიჰმადლე ლავრასა მას წინდად მოწყალებისა და გამოჴსნისა, აწ ჩუენცა სასოებაჲ გვაქუს შენდამი მსგავსად მკჳდრთა მისთა, და გევედრებით, რაჲთა ცხორებისა ღელვათაგან დამაშურალთა და ვნებათა და განსაცდელთა შინა დანთქმულ-

თა უშურველად აღგვიპყრა ჴელი წყალობისა შენისაჲ და დაგვიფარო დაგლახაკებისაგან და წარწყმედისა.

ვითარცა ხარ შენ მცველი და შუამდგომელი ყოველთა მოსავთა შენთა, აწ ჩუენცა ჴელთა შენთა შევვედრებთ ყოველსა ცხორებასა ჩუენსა, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, რაჲთა განაგო იგი ნებისაებრ შენისა, და გჳჴსნნე ჩუენ საცთურისაგან მტერისა ბოროტისა.

მტკიცესა მას ზედამხედველობასა შენსა და მფარველობასა შევრდომილნი გქადაგებთ შენ, ვითარცა ტკბილსა განსასუენებელსა დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთასა, და გევედრებით, მოწყალეო დედოფალო, წარგვიმართე გზასა კეთილსა და უცთომელსა, რაჲთა მარადის ვადიდებდეთ ღმერთსა, ყოვლისა შემოქმედსა:

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ (3-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩუენ; უფალო, გჳჴსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგჳნდვენ უსჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩუენნი სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის). დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს, და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

***მღდელი:* რამეთუ შენი არს სუფევაჲ...**

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყჳს მიცემისაგან ულონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ. **დიდებაჲ...**

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრიად, და ნუცა მოიჴსენებ უსჯულოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გჳჴსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი ჴელთა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენ ზედა და შემიწყალენ ჩუენ.

**აწდა...**

მოწყალებისა კარი განგჳღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რაჲთა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხორებაჲ ნათესავისა ქრისტეანეთასა.

*მღდელი: შეგჳწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგჳწყალენ.*

*გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (3-გზის).*

*მღდელი: მერმეცა გევედრებით, წყალობისა, სიცოცხლისა, მშჳდობისა, სიმრთელისა, დღეგრძელობისა, ცხორებისა, განათლებისა, მოტევებისა, კეთილად წარმართებისა და მყუდროებისა მონათა (ანუ მჴევალთა) ღმრთისაჲთა და ყოველთა შჳლთა ჩუენისა ეკლესიისაჲთა, რაჲთა დაიცვას უფალმან ღმერთმან ჩუენმან სამეუფოჲ ქალაქი ესე ჩუენი და წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ივერიისა სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, დანთქმისაგან, ცეცხლისა და მახჳლისა, უცხოთესლთა ზედა მოსლჳსაგან, ბრძოლისა და სიკუდიდშემოსილისა წყლულებისა, რაჲთა მოწყალე გუექმნეს ჩუენ ღმერთი კეთილად დგომისათჳს სახიერებითა და კაცთმო-ყუარებითა თჳსითა, და გარე-წარაქციოს რისხვაჲ, მარად დღე ჩუენ ზედა მომავალი, და გჳჴსნეს ჩუენ სამართლად ჩუენ ზედა მოწევნულისა რისხვისაგან, და შეგჳწყალნეს ჩუენ.*

*გუნდი: უფალო, შეგჳწყალენ (12-გზის).*

*მღდელი: შეისმინე ჩუენი, ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, სასოო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათაო, და რომელნი არიან ზღუათა შინა შორს, და მლხინებელ, და მოწყალე ექმენ შეცოდებათა ჩუენთა, და შეგჳწყალენ ჩუენ, რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.*

*გუნდი: ამინ.*

# სავედრებელი ლოცვა

ჵ, წმიდაო და ზესთა-დიდებულო ღმრთისმშობელო, დედოფალო, ,,ეკონომისა“, ყოვლად მოწყალეო დედაო იღუმენია მართლმადიდებელთა სავანეთაო, რომელნი დაფუძნებულ არიან მთასა ზედა წმიდისა ათონისასა და ყოველსა ქუეყანასა ზედა, მიითუალე აწ ლოცვაჲ ჩუენი და შესწირე ღმერთსა, რაჲთა გარემომზღუდოს ჩუენ ცოდვათაგან და დაგვიცვას ჟამსა ურვისა და შეჭირვებისასა, ხოლო მონაზონთა უკანაჲსკნელისა ამის ჟამისათა გარდამოუვლინოს სიმჴნჱ სულისაჲ და სიწმიდჱ გულისაჲ, რაჲთა უგულისჴმოებითა ცხორებისაჲთა არა ემსგავსონ კაცთა მათ ერისაგანთა, და არცა სრულიად დაინთქნეს გულნი მათნი ამაოებასა შინა ამა სოფლისასა, ვითარ წინასწარმეტყველეს მამათა, არამედ უვნებელად დაიცვას ყოველნი და წარმართოს ჴსნისა მიმართ.

ჵ, ღმრთივსახიერო დედაო ჩუენო, ღმრთისმშობელო, განდიდნა რაჲ წმიდაჲ და დიდებული ხატი შენი, ვითარცა მნჱ და ,,ეკონომისა“ ათანასეს ლავრისაჲ და იღუმენი ყოვლისა ათონისაჲ, ყოველნი მოსაგრენი მჴურვალედ ლოცულობენ წინაშე მისსა, და გევედრებიან ჴსნასა და შეწევნასა, აწ საფარველითა მადლისა შენისაჲთა ექმენ თანაშემწე წილხვდომილსა ერსა შენსა, და დაიცევ ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, ხოლო ჩუენ შეგვეწიე, და გჳჴსენ მონებისაგან ყოველთა მაჭირვებელთა ვნებათასა, რაჲთა საწუთოჲსა ცხორებისა გზაჲ კეთილად განვვლოთ და მომავალსაცა მას საუკუნესა ღირს ვიქმნეთ ხილვასა შენსა ნათელსა შინა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისასა, რომელსა შუენის დიდებაჲ და ძლიერებაჲ თანა მამითა, და ყოვლადწმიდითა სულითურთ, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

***ᲛᲦᲓᲔᲚᲘ: სიბრძით!***

***ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, გუაცხოვნენ ჩუენ.***

***ᲒᲣᲜᲓᲘ: უპატიოსნესსა ქერობინთასა და ალმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებთ.***

***ᲛᲦᲓᲔᲚᲘ: დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.***

***გუნდი:*** ***დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.***

***უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის). გვაკურთხენ.***

***მღდელი:*** ჩამოილოცავს...

***გუნდი:*** ***ამინ.***

**ერისკაცმან:** დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვიწყალენ (3-გზის).

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, შეგვიწყალენ ჩუენ, ამინ.

## ლოცვაი მოხვევნასა ზედა ხატისასა:

ყოვლისა ცხოვრებისა ჩუენისა შესავედრებელ ხარ, ჵ, დედაო ღმრთისა მაღლისაო, და სურვილითა თაყუანის-ვჰსცემთ რაჲ ხატსა ამას სიწმიდისა შენისასა, ვედრებითა ვითხოვთ შენგან, ყოვლად უბიწოო, რაჲთა ჴორცთა ჩუენთა ბოროტნი წყლულებანი განჰკურნო და მძაფრნი სნეულებანი სულისა ჩუენისაჲ.

დედოფალო, მოხედენ ვედრებასა ჩუენსა, და უვნებელად დაგვიფარე ყოვლისაგან იწროებისა, ურვისა და სიყმილისა.